

შპს „ინტერბიზნეს“-ის კოლეჯის გამოცდის ჩატარების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს „ინტერბიზნესის“ კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) „გამოცდის ჩატარების დებულება“ განსაზღვრავს კოლეჯში გამოცდის ჩატარების პროცედურებს.
2. ამ დოკუმენტით განსაზღვრული გამოცდის ჩატარების პროცედურები სავალდებულოა კოლეჯის ყველა სტუდენტისათვის და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისათვის, რომელთა მეშვეობითაც ხდება გამოცდის ჩატარება.

მუხლი 2. გამოცდის ჩატარების ფორმები

1. გამოცდის ჩატარების ფორმებია:

- ა. წერიტი
- ბ. ზეპირი

გ. შერეული - წერა და ზეპირი ერთად.

2. თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში უპირატესობა ენიჭება წერიტ გამოცდას. წერიტი ხასიათის გამოცდის უპირატესობებიდან შეიძლება გამოიყოს:

- ა. სტუდენტის ცოდნის დოკუმენტირება ანუ ქალაქდზე გადატანა
- ბ. დასახარჯი საგამოცდო დროის ეკონომიურობა

გ. შეფასებებისათვის სუბიექტური ფაქტორის ჩამოშორება და შემფასებლის პასუხისმგებლობის ამაღლება შეფასების მიმართ.

3. წერიტი გამოცდის ჩატარებისას მიღებულია ტესტური ფორმა რამოდენიმე სავარაუდო პასუხის თანხლებით და საკითხებზე წერიტი პასუხის გაცემა. თუ გამოცდა მიზნად ისახავს დისციპლინაში არამარტო ფაქტების უტყუარი ცოდნის, არამედ წერის კულტურის გამოვლენასაც, მაშინ გამოცდა ტესტებთან ერთად უნდა შეიცავდეს კითხვებს მოკლე წერილობითი პასუხებისათვის. (ღია და დახურული კითხვები)

4. სავარაუდო პასუხებიან ტესტებზე მუშაობისას სტუდენტი შემოხაზავს რამოდენიმე ალტერნატივიდან იმ პასუხს, რომელიც მას მიაჩნია სწორად და შემდეგ შესაბამისი სიმბოლო (ციფრი, ციფრების კომპლექტი ან ანბანის ასო-ბგერა) გადააქვს საგამოცდო ტესტის თავფურცელზე. ტესტის საკითხების შეფასება ხორციელდება ამ დებულებით

დადგენილი წესის შესაბამისად. და დაფიქსირებული უნდა იყოს საგამოცდო სამუშაოს დავალებაზე.

5. ზეპირი გამოცდისას მოწმდება სტუდენტის ლოგიკური აზროვნება და სტუდენტის წვდომის სიღრმე პროგრამულ საკითხებში.

მუხლი 3. გამოცდის ჩატარება

1. გამოცდის ჩატარების ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი ბრძანებით დანიშნული საგამოცდო კომისიის მეშვეობით. (ამოქმედდეს 2011 წლის 1 სექტემბრიდან)
2. გამოცდა უნდა დაიწყოს ზუსტად დანიშნულ დროზე.
3. საგამოცდო დრო აითვლება მას შემდეგ, რაც ამოკითხული იქნება სტუდენტთა სია, სტუდენტებს მიეცემათ ინსტრუქტაჟი საგამოცდო წესების შესახებ და დაურიგდებათ საგამოცდო დავალებები. გამოცდის დაწყებისა და დამთავრების დრო უნდა დაიწყროს დაფაზე და გამოცხადდეს ხმამაღლა. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 10 წთ-ით ადრე ზედამხედველი სტუდენტებს შეახსენებს გამოცდის დამთავრების მოახლოების შესახებ.
4. თუ სტუდენტმა სემესტრის განმავლობაში აკადემიური აქტიურობით ვერ დააგროვა მინიმალური ზღვრული დადებითი 11 ქულა, მაშინ იგი გამოცდაზე არ დაიშვება და საგამოცდო უწყისში უფორმდება „არაა დაშვებული“; გამოცდაზე დაგვიანების ან არგამოცხადების შემთხვევაში სტუდენტს საგამოცდო უწყისში უფორმდება „არ გამოცხადდა“; გამოცდის მსვლელობისას ქცევის წესების დარღვევისათვის გამოცდიდან მოხსნილ სტუდენტს საგამოცდო უწყისში უფორმდება „მოიხსნა გამოცდიდან“.
5. გამოცდაზე არ დაშვებული სტუდენტი ვალდებულია თავის ხარჯზე განმეორებით მოისმინოს სასწავლო დისციპლინა, შეასრულოს შესაბამისი სასწავლო კომპონენტები, დააგროვოს მინიმალური 11 ქულა მაინც და ისე მოიპოვოს გამოცდაზე გასვლის უფლება.
6. გამოცდაზე დაგვიანებული და არგამოცხადებული სტუდენტი უფლებამოსილია ერთხელ კიდევ ისარგებლოს გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობით დამატებით ვადაში. თუ მას გააჩნია საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს ძირითადი გამოცდიდან უახლოეს ხუთ დღეში.
7. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტი თავის ხარჯზე უფლებამოსილია ისარგებლო დამატებით ვადაში გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობით.
8. ამ დებულებით განსაზღვრული სტუდენტი მიერ თვითდაფინანსებით გამოცდაზე გასვლის საფასური დგინდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც წინასწარ ცნობილია კოლეჯის სტუდენტებისათვის.
9. საგამოცდო პროცედურის გაპროტესტება შესაძლებელია წერილობით, იმავე დღეს,

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარესთან (ამოქმედდეს 2011 წლის 1 სექტემბრიდან).

10. გამოცდის შედეგების გაპროტესტება შესაძლებელია შედეგების გამოქვეყნებიდან (ვებ-გვერდზე განთავსება) მომდევნო სამუშაო დღეს, წერილობით, კომისიის თავმჯდომარესთან. (ამოქმედდეს 2011 წლის 1 სექტემბრიდან)
11. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გაპროტესტება შესაძლებელია კოლეჯის დირექტორთან, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. (ამოქმედდეს 2011 წლის 1 სექტემბრიდან).
12. სტუდენტს აქვს უფლება კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. (ამოქმედდეს 2011 წლის 1 სექტემბრიდან)

მუხლი 4. სტუდენტის უფლება-მოვალეობები გამოცდაზე

1. გამოცდაზე სტუდენტი ვალდებულია:

ა. გამოცხადდეს დაგვიანების გარეშე;

ბ. დაიცვას სიჩუმე და წესრიგი;

გ. გამოცდაზე იმოქმედოს გამოცხადებული ინსტრუქტაჟის მიხედვით;

დ. ტესტის თავფურცელზე მაქსიმალური ყურადღებით და სწორად გადაიტანოს ტესტში შემოხაზული პასუხები, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მას

ე. საგამოცდო დავალების შესრულების შემდეგ ჩააბაროს ნამუშევარი ზედამხედველს და უხმაუროდ დატოვოს აუდიტორია

2. გამოცდაზე სტუდენტისათვის აკრძალულია:

ა. გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიიდან გასვლა

ბ. მობილური ტელეფონის გამოყენება

გ. დამხმარე ჩანაწერის, ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება

დ. სხვისი საგამოცდო ნაშრომიდან გადაწერა

ე. გადალაპარაკება

ვ. ინფორმაციის გაცვლა

3. ამ და სხვა ეთიკური ნორმების დარღვევებისათვის სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტის შესახებ უნდა გაფორმდეს „მოიხსნა გამოცდიდან“ საგამოცდო უწყისში. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტი არ შეფასდება და იგი ჩაითვლება გამოცდაზე ჩაჭრილად.

4. თუ სტუდენტს სემესტრული აკადემიური აქტიურობით დაგროვებული აქვს 11-40 ქულა, მაშინ გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში იგი ვალდებულია განმეორებით გაიაროს საგანი თავის ხარჯზე და ამ გზით მოიპოვოს გამოცდის განმეორებით ჩაბარების უფლება.

5. თუ სტუდენტს სემესტრული აკადემიური აქტიურობით დაგროვებული აქვს 41- ქულა, მაშინ გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში, მას რჩება უფლება, განმეორებით გავიდეს გამოცდაზე თავითდაფინანსებით.

6. სტუდენტი, რომელიც განმეორებით გადის დამატებით გამოცდაზე, განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციას, სადაც მიუთითებს თუ რომელ საგანში სურს ჩაბარება და წარადგენს კოლეჯის დირექტორის მიერ დადგენილი ტარიფის შესაბამისად დამატებით გამოცდაზე გასვლის, საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტს.

7. დამატებით გამოცდაზე გამსვლელთა განაცხადების რეგისტრაცია უნდა დასრულდეს დასკვნითი გამოცდიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი 5. გამოცდის კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები

1. საგნის სპეციფიკიდან გამოცდა შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ფორმატით. ტესტურად (ღია და დახურული კითხვებით), ზეპირი/ წერიტი სახით.

2. ტესტში დახურულ კითხვას მინიჭებული აქვს 1 ქულა, ხოლო ღია კითხვას - 2 ქულა.

3. ზეპირი გამოცდა ტარდება საკითხებით და თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 10 ქულა.

ა) 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

ბ) 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

გ) 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

დ) 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს საკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.

ე) 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

ვ) 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

4. წერიტი გამოცდის შეფასება ხდება საკითხებით. თითოეულ საკითხს მინიჭებული აქვს მაქსიმუმ 20 ქულა.

ა) 19-20 ქულა ზედმიწევნით ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხს. აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეუძლია ნებისმიერი საპროგრამო მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე, პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ პროგრამასთან დაკავშირებულ დამატებით შეკითხვებს;

ბ) 15-18 ქულა - ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საკითხში, აქვს საგანში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია ნებისმიერი საპროგრამო მასალის გადაცემა;

გ) 10-14 ქულა ერკვევა პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მნიშვნელოვან ნაწილში; შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა, ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი;

დ) 3-9 ქულა - პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ნახევარზე მეტის გადმოცემა შეუძლია დამაკმაყოფილებლად, ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტად აქვს დამუშავებული;

ე) 0-3 ქულა - პროგრამით გათვალისწინებული საკითხებიდან არც ერთი არ არის განხილული დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 6. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შეფასება

1. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება ქულათა სისტემით. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა.

2. საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის შემადგენელი ნაწილები და შეფასების კრიტერიუმებია:

ა. თავფურცელი და რეზიუმე - 10 ქულა

-გაფორმებულია შესაბამისად;

-რეზიუმე სრულად ასახავს საწარმოო პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს;

ბ. საწარმოო პრაქტიკის გავლის ადგილის/დაწესებულების დახასიათება/აღწერა - 20 ქულა

-ქმნის მკაფიო წარმოდგენას საწარმოს საქმიანობაზე;

გ. საწარმოო პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი - 30 ქულა

- განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს;

-შესაბამისი მაგალითების საფუძველზე აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს ;

-კომპეტენციების განვითარება შეფასებულია კრიტიკულად;

- ტექსტი ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული.

დ. დასკვნები და რეკომენდაციები - 20 ქულა

-არგუმენტირებულია.

ე. დანართი - 10 ქულა

- რელევანტურია;

- ნათლადაა გადმოცემული

ვ. პრეზენტაცია - 10 ქულა

- თანმიმდევრულია

- შესაბამისად გაფორმებულია.

მუხლი 7 . დასკვნითი დებულებანი

1. ამ დებულებას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

2. ამ დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს კომპანია "ინტერბიზნესის" აკადემიის მმართველი-დირექტორის 2010 წლის 11 სექტემბრის #01-24 ბრძანებით დამტკიცებული გამოცდის ჩატარების დებულება.